№ 67 მარტი 28, ოთხშაბათი — 1890 — მარტი 28, ოთხშაბათი № 67


**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 9 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ჯუკიაში, აკჩალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 — სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1890


კნეინა ნატალია ვახტანგის ასული და იოსებ თადეოზის ძე ამირაჯიბნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობართ გარდაცვალებასა პირველი ქმრისას და მეორე მამისას, თ. თადეოზ იოსების ძის ამირაჯიბისას, და სთხოვენ პატივი სცენ და დასწრონ დასაფლავებას განსვენებულისას 29 მარტს სოფელ აზისის ეკკლესიაში. (1—1)

## ივერია

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

**ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:**

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

რადგანაც განვიზრახეთ განსვენებულის იოსებ დავითაშვილის ლექსების კრებულის გამოცემა, ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც-კი ძვირფასად მიაჩნია ამ ლექსების შეერთება და საერთოდ გამოქვეყნება, თუ ეპოვება რამ ლექსი განსვენებულისა, ჩვენ გამოგვიგზავნოს. დარწმუნებულნი ვართ, ჩვენს სურვილსა და განზრახვას ყველა სიამოვნებით მიეგებება და ხელს მოგვიმართავს და შეგვიწყობს, რომ ეს განზრახული საქმე სავსებით შევასრულოთ და ჩვენ მიერ გამოცემული კრებული სრული და უნაკლულო იყოს. ფოსტის ხარჯს ჩვენვე ვკისრულობთ, თუ არ დაიზარებენ და, რაც-კი შეიძლება, საჩქაროდ გამოგვიგზავნიან. ადრესი: Караванъ-Сарай Онанова. № 48, г. Ратiани.

სიძე განსვენებულისა გარსვან რატიანი. (5—1)

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი აცხადებს, რომ დამფუძნებელ წევრთა საერთო კრებას, პირველ განცხადებაში მოხსენებულ საქმეთა გარდა, მოხსენდება აგრეთვე შემდეგი საგნებიც:

1) შეიცვალოს თუ არა ბანკის წესდების 1 და 6 §§ მოკლე-ვადიან სესხის გაცემის შესახებ

და 2) შეიცვალოს თუ არა ზედამხედველ კომიტეტის წევრებ შესახებ დადგენილი ბანკის წესდების მე-76 და 78 §§ ები.

გამგე კომიტეტი „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ უმორჩილესად სთხოვს წესდების ძალით (§ 7) წევრთა ამ საზოგადოებისა მობრძანდნენ ამ 1889 წლის აპრილის 14, საღამოს 6 საათზედ, საზოგადო კრებაზედ ტფილისის სათავად აზნაურო ბანკის სადგომში.

განსახილველია:

1) დამტკიცება წლიურის ანგარიშისა.

2) დამტკიცება მომავალ $18^{90}/_{91}$ წლის ხარჯისა და

3) არჩევა გამგე კომიტეტის წევრთა. (3—2)

ტფილისი, 27 მარტი

დიდი ხანია ჩვენს საზოგადოებაში ჰკტრიალებს ხმა, რომ ჩვენი საადგილ-მამულო კრედიტი მეტად ძვირად უჯდება მემამულეებსაო. ეს სიძვირე გამოჰქყავთ იქიდამ, რომ სოფლის მამული იხდის ყოველს ას მანეთიანს გირავნობის ფურცელზედ რვა მანეთს თავნსა და სარგებელში ყოველ წლივ და რადგანაც ამ უკანასკნელ წლებამდე ას მანეთიანი გირავნობის ფურცელი ას მანეთზედ კარგა ნაკლებ, — ხუთისა და ექვსის პროცენტით, — იყიდებოდა, ეს წლიური შესატანი ბანკში ნაღდის ფულის კვალობაზედ რვა პროცენტზედ მეტი მოდიოდა. ნამეტნავად ძვირად დაუჯდათ ნაღდი ფული იმათ, ვინც ბანკიდამ სესხი გაიტანა იმ პირველ ხანების დროს, როცა ას მანეთიანი გირავნობის ფურცელი გადიოდა რვა თუმნად და სამ მანეთად, ან ამაზე ცოტა მეტ-ნაკლებად.

ეს სამდურავი ცოტად თუ ბევრად სამართლიანია, მაგრამ ესეც უნდა მივიღოთ სახეში, რომ პირველ ხანეში ჩვენს ბანკს, როგორც ახალს და ჯერ ფეხ-გაუმართავს და ფულის ბაზარშიაც უცნობს, არავითარი ღონე არა ჰქონდა ამ მხრით ეშველნა რამ და ხსენებულ სიძვირისათვის რამ ეწამლნა. ყველამ იცის, რომ წლიური შესატანი ბანკში სამის ნაწილისაგან შესდგება: ერთი, — სამატი სარგებელი (% роста), მეორე, — თავნის სახდელი (% погашенія) და მესამე, — ბანკის ხარჯისა და მოგების გასაძღოლი. ვერც ერთს ამ სამის ნაწილისას ბანკი ვერ დააკლებდა უიმისოდ, რომ ან თითონ შიშს ქვეშ არა ყოფილიყო — ფეხს ვერ მოვიმაგრებო, ან იმის შიში არა ჰქონოდა, კარგს მუშტარს ვერ ავუჩენ ფულის ბაზარში ჩემს გირავნობის ფურცელს, რომლითაც მე ფულსა ვშოულობ მსესხებელისათვისაო.

რომ ჩვენს ბანკს ეს შიში აღარა ჰქონოდა, ჯერ თითონ უნდა მოემაგრებინა ფეხი, წელში გამართულიყო, თავისი შემოსავალი იქამდე მიეყვანა, რომ ხარჯისა და საეგებით ზარალის გაძღოლა შესძლებოდა. ეს ერთი და მეორე ფულის ბაზარში ნდობა უნდა მოეპოვებინა, რომ ფულის პატრონს შიში აღარა ჰქონოდა, ჯერ ახალია და არ ვიცით საქმე როგორ მოუხერხდებაო. ყოველ ამას თითქმის მთელი თხუთმეტი წელი მოუნდა, ესე იგი, იმოდენა დრო, რომელიც ცალკე კაცისათვის კარგა ბლომა ხანია და იმისთანა სამერმისო საქმისათვის-კი, როგორიც ბანკის საქმეა, მაგდენი არაფერია.

დღეს ჩვენი ბანკი სწორედ იმ მდგომარეობაშია, რომ შეუძლიან სთქვას: აწ არსებული შემოსავალი ჩემი იმდენია, რომ ჩემის უღონობის ფიქრი აღარა მაქვს და ფულის ბაზარშიაც შემოვიჩვიე კაი მუშტარი ჩემის გირავნობის ფურცლისათვისაო. რაკი ესეა, მომწიფდა დროც, რომ ბანკი შეუდგეს კრედიტის გაიეფების თადარიგს პირდაპირის გზით, ესე იგი, აწ არსებულს სამატს სარგებელსაც მოაკლოს შესაძლებელი ნამეტანობა და ბანკის სახარჯოსა და სამოგებო სარგებელსაც.

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან ჩვენის გაზეთისაგან, რომ სამატ სარგებელის დაკლების შესახებ ჩვენის ბანკის გამგეობას შეაქვს წრევანდელ კრებაში სარჩიელი, რომ ნება მიეცეს ჩვენს ბანკს ხუთ-პროცენტიანი გირავნობის ფურცელი იქონიოს. ამ საგანზე ვრცლად იყო ნათქვამი ჩვენს გაზეთში. ამასთან ერთად გამგეობას ბანკისას განუზრახავს შეიტანოს სარჩიელი, რომ სახარჯო და სამოგებო სარგებელიც $1^1/_2$-დამ ჩამოახდინოს $^1/_4$%-ზე იმ სოფლის მემამულეთათვის, რომელნიც წევრნი-დამფუძნებელნი ბანკისა არიან და სხვებისათვის, ქალაქისა თუ სოფლის მამულების პატრონთათვის, 1%-ზე იმ პირობით, რომ პირველთათვის ეს ნაკლები სარგებელი შემოღებულ იქმნას 1-ლ იანვრიდამ 1891 წლ და მეორეთათვის 1892 წ.

## ახალი ამბავი

*** დღემდის ჩვენს რედაქციაში მოგროვდა წინამძღვარიანთ-კარის სკოლის სასარგებლოდ 1.137 მან. 41 კაპ.

*** „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ უკვე დაუბარებია მოსკოვიდგან სხვა-და სხვა ნივთი ლოტარია-ალეგრისათვის, რომელსაც ეს საზოგადოება აგერ მესამე წელიწადია ყოველ გაზაფხულზე ჰმართავს ხოლმე მუშტაიდის ბაღში.

*** ახალციხე: ნაადდგომევს აქ ვაპირობთ გავმართოთ ქართული სალიტერატურო და სამუსიკო საღამო დ. ბაქრაძის სახელობაზე დაარსებულის ფონდის სასარგებლოდ.

# ფელეტონი

## ხიდია ჩატეხილი

მოთხრობა

### XIX*)

ერთის გლეხ-კაცის სახლის დერეფანში თხუთმეტიოდე გოგო-ბიჭი შეკრებილიყო და ჟივილ-კივილით მხიარულობდნენ.

— გოგოებო, დაიძახა ერთმა. აიგერ ჩვენი მასხარა მოდის, დაუძახოთ, ვათამაშოთ!

— დაუძახოთ, დაუძახოთ: გიგლა, თავ-გასიებულო! შეჰქმნა ყველამ ყვირილი.

— გოგოებო, სთქვა ერთმა საიდუმლო ხმით: მე-კი აქ არ გავჩერდები და მეშინიან იმისი.

— შე, ჩასაქოლო, რისა გეშინიან!

— რისა გოგო-და, ბიჭები ამბობენ, გიგლა ეშმაკი არისო.

— ეშმაკი-კი არა და! რას სულელობ!

— ზიარების მადლმა, მართლა ვამბობ! თურმე ღამ-ღამობით გამოდის; ი ღელის პირზე ჩამოჯდება; ხან წყაროს დასცქერის და ქაჯებს ელაპარაკება; ხან გულ-აღმა დაწვება თურმე, ვარსკვლავებს შესცქერის და რაღაც ლოცვებს დუდუნებს...

— ჰო, გოგო, დაემოწმა ერთი პატარა ბიჭი: გუშინ საღამოს წყაროზე რომ ჩაველი, გიგლა იქ დამხვდა. რას აკეთებ-მეთქი, ვკითხე. არც პასუხი გამცა, არც არაფერი. ისე გაბუსუნაგებული იყო... მე შიშით თმა ამეყალხა.

ყველა დაფიქრდა და, ცოტა არ იყოს, შიშით დაუწყეს ცქერა კოჭლობით მომავალ გიგლას. დაძახებას ვერავინ უბედავდა.

— გიგლა! დაიყვირა უცბად ერთმა გოგომ და სახლში შევარდა. ყველა წივილ-კივილით მას უკან გაჰყვა. გიგლა დერეფანთან მივიდა.

— რა კარები დაგიკეტნიათ, გოგო! რას მემალებით? ჰკითხა გიგლამ.

სახლიდგან თავ დაჭერილი სიცილი გამოდიოდა.

— გამოდით, გოგოებო, დაუკარით, ერთი დავიკვანწო! დაუძახა სიცილით გიგლამ.

პატარა ხანს უკან ერთი მოზდილი გოგო გამოვიდა დაირით ხელში. თუმცა სხვებს-კი ეუბნებოდა, რას სულელობთო, მაგრამ იმის გაწითლებული სახე ცხადად ამბობდა, რომ იმასაც არა ნაკლებ ეშინოდა გიგლასი. გოგოები, როგორც იყო, ნელნელა გამოლაგდნენ და ისევ დაუკრეს მუზიკა. გიგლა მოუთმენლად იგრიხებოდა.

— დაუკა, გოგო, ჩქარა! დაირაც გაახურეთ! კარგ ქეიფზე ვარ, ბევრს გაცინებთ.

— თითქო ეშმაკიაო! წამოიძახა პატარა გოგომ.

— ეშმაკიცა ხარ და არც არა ვიცი-რა, გაუჯავრდა გიგლა.

რა ყველა დარწმუნდა, რომ გიგლა არ გაეშმაკებულიყო, ჩვეულებისამებრ დაუწყეს წვალება: ზოგი ხელსა ჰკრავდა, ზოგი ჩოხასა სწევდა, ზოგი თავში სცემდა და სხვა-და-სხვა მეტის სახელით ხსენებას ხომ საზღვარი არა ჰქონდა.

— გიგლა, მაიმუნო, რა საძაგელს ლექსებს ამბობ! გუშინდელი ლექსები სჯობდა; ისევ ისინი სთქვი.

— თქვენ დაუკარით კარგად და მეიცი! უთხრა გიგლამ და დაიწყო ლექსების თქმა. გოგო-ბიჭები ზოგს უწონებდნენ და ზოგს უწუნებდნენ, და კოკოლას აყრიდნენ, მასხარად იგდებდნენ, ზოგს ლექსში გიგლა თავის მწუხარებას ჰხატავდა და გოგოები ერთმანეთს გაკვირვებით შესცქეროდნენ.

გიგლამ უცბად თვალი მოჰკრა ლათოს და გაშტერებული გაჩერდა. მისმა მოცინარე სახემ ფერი იცვალა. იმ სარკმელს, საცა ლათო შეამჩნია, თვალს აღარ აშორებდა და გაშტერებული იყურებოდა.

გიგლა აღარ ინძრეოდა. გოგოები შეშინდნენ, ნელ-ნელა შემოეცალნენ.

— რას გეშინიანთ, სთქვა ერთმა. ამას ვერ მოვერევით! ამ სიტყვებით გიგლას ხელი ჰკრა. გიგლა წაბარბაცდა, თავი ვერ დაიმაგრა და დერეფნის გვერდზე მოგროვილს თოვლში პირქვე დაემხო. ყველა სიცილით გაიფანტა, მაგრამ გიგლა ისევ უძრავად იდო და ხმას არ იღებდა.

— რა დაემართა, რა ექნა?! შესწუხდა ერთი: რა არის, რომ კაცის შეცოდება არ იცით! მაგისთანა ხუმრობა ვინ გაიგონა! მომეხმარეთ, ავაყენოთ! გიგლა ფეხზე წამოაყენეს და მოშორდნენ.

ლათომ, რა შეამჩნია რომ ყველამ იმისკენ ყურება დაიწყო, დალერემილი მოსცილდა იმ სარკმელს, საიდანაც გოგოების თამაშობას უყურებდა, და თავის ოთახში შევიდა. კარგა მოღამდა. სიბნელით ოთახში ვერა გაირჩეოდა-რა, რომ ლათო კიდევ უძრავად, ჩაფიქრებული ერთს ალაგას იჯდა.

*) იხ. „ივერია“ № 45, 46, 48, 49, 51, 52, 54, 55, 56, 57, 59, 61, 62, 63, 65 და 66.

*** სუჯუნა (სამეგრელო): ნაალდგომევს სუჯუნის სოფლის საზოგადოება უნდა შეუდგეს ახალის შენობის აგებას აქაურის ორ-კლასიანის სასწავლებლისათვის სასოფლო სკოლების დირექციის გეგმისამებრ. შენობის ასაშენებლად უკვე ამორჩეულია კომიტეტი. დირექცია სკოლებისა დაპირებულია 400 მან. შემწეობას.

*** იქიდამვე: ნაალდგომევს, 23 აპრილს, ჩვენში დიდი დღეობა იციან. ამ დღეობისათვის ვემზადებით გავმართოთ ქართული წარმოდგენა და შემოსავალი გადავდოთ ნახევარი წინამძღვარიანთ სკოლის სასარგებლოდ და ნახევარიც—აქაურის სკოლის საჭიროებათათვის.

*** იქიდამვე: 24 მარტს გარდაიცვალა აქ უეცრად მოხუცებული ხუმარა და სამღვთო წერილ ნაკითხი ნადიაკვნარი დიტოია მაკალათია (დიმიტრი მადათ ივად წოდებული). დიტოია მაკალათია დიდ-კაცობაში ძალიან მიღებული იყო და ოხუნჯისა და ხუმარის სახელი ჰქონდა გავარდნილი. ოდესმე ახდა თურმე სამეგრელოს მთავარს დავით დადიანს, რომელიც შესანიშნავი მოყვარული იყო ძველის ქართულის წიგნებისა და ხელ-ნაწერებისა და დიდად სწყალობდა განსვენებულს მადათოვს.

*** ფოთი: ფოთის თვით-მართველობა აწ უკვე გულიანად შეუდგა ქუჩების შეკეთებასა და შესწორებას. ზამთარში ზოგიერთი ქუჩა წვიმების დროს სამწუხარო მდგომარეობაში იყო და რიგიანს ყურადღებას არავინ აქცევდა და ახლა-კი გაფაციცებული მუშაობაა თითქმის ქალაქის ყველა ქუჩაზედ.

*** იქიდამვე: ამ დღეებში აქაურ ოთხ-კლასიან სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორ პლოხოტნიკოვის თაოსნობით კონცერტი იყო გამართული. მონაწილეობას იღებდნენ თვით სასწავლებლის მოსწავლე ბავშვები, რომლებმაც სამხედრო მუსიკაზედ დაკვრა რიგიანად შეისწავლეს. მოსწავლეებმა წაიკითხეს რუსული ლექსებიც. ქართულის ლექსების კითხვა ხსენებითაც არ ყოფილა აქ და, რასაკვირველია, ეს დიდად სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს ადგილობრივ სასწავლებელში, მით უმეტეს, რომ ნახევარზედ მეტი მასწავლებლები ქართულის ენის მცოდნენი არიან. ამ თვეშივე კიდევ აქ იმყოფებოდა თითქმის ერთი კვირა გამოჩენილი თვალთ-მაქცი რობერტ ლენცი, რომელიც წარმოდგენებსა მართავდა აქაურ კლუბის დარბაზში. ხალხი ბლომად დაიარებოდა და რიგიანი შემოსავალიცა ჰქონდა. აქედგან ლენცი ქ. ქუთაისს გაემგზავრა.

*** გაზ. «Нов. Вр.»-ია ამბობს, რომ წელს ყველა სასწავლებელში ადრე გათავდება სწავლაო. გიმნაზიებში წინად მერვე კლასის შეგირდები იჭერდნენ ეგზამენებს მაისის შუა რიცხვებიდამ და წელს-კი ეს ეგზამენები დაიწყება აპრილის გასულს, ისე რომ სწავლა ყველგან გათავდება 20 მაისისათვისაო.

*** მარტის 24, პოლიციის მეშვიდე ნაწილში, მარია მურადოვის სახლში, ცეცხლის გაჩენის დროს მოიპარეს სხვა-და-სხვა ვერცხლის და ოქროს ნივთეულობა. დაკარგულის ნივთეულობიდგან ქალის ოქროს საათი და ვერცხლის პორტ-სიგარი აღმოუჩნდა სამეგრელოს პოლკის მეცამეტე როტის ფელდფებელს დიმიტრი დიაჩენკოს. გამოძიება სწარმოებს.

## მთავრობის განკარგულებანი

ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელნი ბელიაევი და იაროსლავი დაინიშნენ ზედამხედველებად პირველი გორის სასულიერო სასწავლებელში, და მეორე ქუთაისის საში. მასწავლებელი გორის სასულიერო სასწავლებლისა იტალინსკი დაინიშნა იმავე სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწედ.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი ბ-ნი ტატიშვილი გადაყვანილ იქმნა ოზურგეთისაში ზედამხედველად და ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი შიოშიუკაშვილი გადაყვანილ იქმნა თელავისაში.

## ქალაქის საბჭო

26 მარტს

ამ კრებაზე, სხვათა შორის, განხილული იყო წინადადება გამგეობისა იმის შესახებ, თუ რაოდენს ფულს შეადგენს პროცენტი ქალაქის აგენტების დასასაჩუქრებლად. შემოსავალი, გარდამეტებული ხარჯთ-აღრიცხვის შედარებით, იყო შარშან ოც-და-სამ ათას მანათზე მეტი. 15% ამ გარდამეტებულისა, გამგეობის ანგარიშით, არის 3,455 მანათი. საბჭომ დაადგინა გარდაეცეს ეს ანგარიში სარევიზიო კომისიას, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს, რამდენად ეთანხმება იგი ნამდვილს თანხას გარდამეტებულის ფულისას, და როდესაც კომისია გაათავებს ამ ანგარიშს, შემდეგ გარდასწყვეტს საბჭო, რამდენიც უნდა მიეცეთ საჩუქარი ხსენებულ მოხელეთ.

აგრეთვე განიხილა კრებამ მოხსენება გამგეობისა, თუ როგორ უნდა შესდგეს სიები ქალაქის ამომრჩევლებისა. წელს უთავდება ვადა ეხლანდელს საბჭოს ხმოსნებს და ამიტომ ნოემბერში იქნება ახალი არჩევანი. კრებამ დაადგინა აგვისტოში გათავდეს სიების შედგენა თითქმის იმავე წესით, როგორც ამ ოთხის წლის წინად იყო. ვისაც აგვისტომდე დარჩება საქალაქო ხარჯი, იგი მოკლებული იქნება კენჭსა იმის თაობაზედ.

ბოლოს განხილულ იქმნა წინადადება ხმ. შახბუდაღოვისა, რომ გამგეობის წევრს, ბ-ნ იზმაილოვს, მიემატოს წლიური ჯამაგირი ასი თუმანი, რადგან იგი ასრულებს ძალიან რთულს მოვალეობას, როგორათაც თანაშემწე ქალაქის თავისა. ხმ. ივანენკომ ამაზედ შენიშნა, რომ რადგან წელს გვითავდება ვადა, ამიტომ ნუ გადავწყვეტთ ისე, რომ მომეტებული ჯამაგირი მოეხვიოს თავს მომავალს საბჭოს. გვჯობიანება დავადგინოთ, რომ ასი თუმანი საჩუქრად მიეცეს ბ-ნ იზმაილოვს და ჯამაგირის მომატება-კი შემდეგს საბჭოს მივანდოთო. ხმის უმეტესობით კრებამ დაადგინა მიეცეს ბ-ნ იზმაილოვს საჩუქრად ასი თუმანი.

## ღვინის მოყვანა

ტფილისის გუბერნიაში.

თელავის მაზრაში ითვლება 10,000 ვენახი, გაშენებული 27,000 დღიურზე. 1888 წელს შეუკრეფიათ 829,300 ფუთი ყურძენი, რომელსაც გამოსვლია 353,000 ვედრო ღვინო, დღიურს 20 ვედრამდე, გაცილებით ნაკლები წინა წელზედ. ღვინის მოსავალს შეუშალა ხელი გამუდმებულმა წვიმებმა და სეტყვამ. მომეტებულად დაზარალდა ვენახები კისისხევში, ფშაველში და ლალ ისყურში. საზოგადოდ-კი თელავის მაზრის ვენახებს ბოლოს ულებს მილდიუ, ოიდიუმ ტუკკერი (ნაცარი) და სიყვითლე (желтуха). შეიძლება ამ მრავალ-გვარ ავადმყოფობამ ბოლო მოუღოს თელავის მაზრის მშვენიერ ვენახებს, თუ დროზედ შესაფერი ღონისძიება არ მიიღო მთავრობამ და თვით ვენახების პატრონებმა. ვენახების გაშენება და როველი იმავე წესით იციან თელავის მაზრაში, რა წესითაც შენდება და იკრიფება ვენახები სიღნაღის მაზრაში, იმ განსხვავებით-კი, რომ სიღნაღის მაზრაში უფრო ერთგულად უვლიან ვენახებს, ვიდრე თელავისაში.

ტფილისის მაზრაში ითვლება 4,000 ვენახი, გაშენებული თითქმის 9,000 დღიურზედ. 1888 წელს მოსულა 379,000 ვედრო ღვინო, დღიურზედ 42 ვედრო. ტფილისის მაზრაში ვენახებს რიგიანად და ერთგულად უვლიან, განსაკუთრებით გერმანელები, დასახლებულნი მაზრაში ახალშენებად. ამ მაზრის ღვინო მაღალის ღირსებისა არ არის და იყიდება მარტო ტფილისში, სადაც ღვინოებს აზავებენ სხვა-და-სხვა ნარევით. ჯერ-ჯერობით ტფილისის მაზრის ვენახებს არ მოსდებია ის სენი, რომელიც თითქმის ანადგურებს კახეთის ვენახებს.

გორის მაზრაში ვენახების გაშენება თანდათან ვრცელდება, ასე რომ ეხლა ითვლება 4100 ვენახამდე, რომელთაც უჭირავთ 9200 დღიურამდე. ღვინო დაბალის ღირსებისაა, მოვლა ვენახებისა არ იციან რიგიანი; ამისთვისაც გორული ღვინო ნაკლებად ფასობს. ვედრა ღვინო ორ მანეთ ნახევარზე მეტად არ იყიდება ტფილისში და იმასაც ძალიან აკეთებენ. 1888 წელს მოსულა 160,000 ვედრა ღვინო, 1,600 ვედროთი უფრო მეტი წინანდელზედ.

დუშეთის მაზრაში ითვლება 900 ვენახი, გაშენებული 3,000 დღიურზედ. საანგარიშო წელს შემოსულა 224,000 ვედრო, დღიურზედ 186 ვედრო. თუმცა დუშეთის მაზრის ღვინო ღირსებით ძალიან ჩამოუვარდება კახურ ღვინოებს, მაგრამ ვენახის პატრონები დიდად სცდილობენ, რომ გააუკეთესონ ვენახები. ამ მხრით კაი მაგალითს აძლევს თ. ივანე მუხრანბატონის. იმ მემამულეთა, რომელთა ვენახებიც გადაჰქიმულია მუხრანისა ობისის და წილკნის ველ-მინდვრებზე.

სულ მთლად ტფილისის გუბერნიაში მოუყვანიათ 1.820,000 ვედრო ღვინო. დიდი მოსავალი ღვინისა ყოფილა 1885 და 1887 წელს. 1885 წ. მოსულა 2.436,700 ვედრა და 1887 წ. კი 3 201,500 ვედრო.

საანგარიშო წელს მევენახობა და ღვინის მოყვანა დაცემული ყოფილა, დუშეთისა და ტფილისის მაზრების გარდა, სადაც ეს წარმოება აყვავებულს მდგომარეობაშია. მიზეზი ასეთის დაქვეითებისა ისაა, რომ წლითი წლობით ვრცელდება ვაზის სხვა-და-სხვა ავადმყოფობა, რომელიც ბოლოს ულებს ღვინის მოსავალს.

ქაქისაგან აკეთებენ არაყს. საქციზო უწყების მოწმობით საანგარიშო წელს გამოუხდიათ ჭაჭისაგან არაყი 430,665 გრადუსი, 100,000 გრადუსით ნაკლები წინანდელზედ. საშუალო ფასი ვედრა ღვინისა არის 2 მ. 50 კ., მაშასადამე მთელის მოსავლის ფასი იქმნება 4.550,750 მან.

ა. ფრონელი

## ამბავი სოფლიდამ

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ამაშუკეთი, 18 მარტ. წარსულმა წელმა ჩვენს ამაშუკეთის საზოგადოებაში თავი ისახელა მოუსავლობით, განუწყვეტელის ქურდობა-ავაზაკობით, სუსხიანის ზამთარით და უცნაურ სენის „ინფლუენციის“ მოვლენით. მაგრამ რადგანაც კაცი ღვთის მიერ მოვლენილ სასჯელს უფრო დიდის მოთმინებით იტანს, ვიდრე კაცისაგან მიყენებულ შეწუხებულ შევიწროებას, ამიტომ ვერც მოუსავლობამ, ვერც სასტიკმა ზამთარმა და ვერც „ინფლუენც-უფულენციამ“ ისე ვერ შეაწუხა ჩვენი ხალხი, როგორც ქურდობა-ავაზაკობამ. მართალია, ინფლუენცია ბოლოს დროს ძლიერ შემოგვეწყრა, მაგრამ ჩვენ იმას მაინც ნაკლების პატივითა და მორიდებით არ ვეპყრობოდით სხვა „ბატონებზე“, წითელაზე, მუცელ-კეთილზე, ყელ-ჭირვებაზე და სხ. ცუდმა ზამთარმა ხომ ისეთი სამსახური გაგვიწია ავაზაკობის შევერხებაში, რომ ამ მხრით მეტს ვერას იზამდა თვით ფხიზელი და მუყაითი პოლიციაც კი. ეს იქიდამაცა სჩანს, რომ გასულ ოქტომბრიდამ ამ მარტამდის არც ალარაფერი დაკარგულა და არც არავის მიხტომიან. ჩვენს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, რადგან გვეგონა ევების ავაზა-

---

რა აფიქრებდა ლათოს? იქნება იგონებდა იმ დროს, როდესაც მხიარული, უდარდელი თავის ტოლ-ამხანაგებში ცელქობდა? კარგი დრო იყო ის დრო ლათოსათვის! მაშინაც ხომ უყვარდა ნიკო? მაგრამ ეს სიყვარული აბედნიერებდა, ახარებდა. რა გულის კანკალით ელოდა ყოველ დილას, როდესაც ნიკოს ჩაის მიუტანდა ხოლმე! რა ბედნიერი იყო, როდესაც ნიკო გაეხუმრებოდა! მაშინაც ხომ წავიდოდა ხოლმე ნიკო, მაგრამ ლათოს თავის დღეში ისე არ უწუხნია იმისი წასვლა. პირ-იქით, ყოველთვის მხიარული იყო. ყოველთვის იცინოდა, ტკბილად ულიმოდა იმ წამს, როდესაც ნიკო ისევ უნდა დაბრუნებულიყო. ეხლა რამ დაალონა? რას ფიქრობს? ნატრობდა იმ დროს? როგორ-ღა დაიბრუნებს? ფიქრობს-კი დაიბრუნოს ის დრო?...

მეორე ოთახიდგან მოხუცის კვნესა გამოისმოდა. ლათო უცბად წამოდგა, თითქო ფიქრის დასამთავრებლად პატარა ხანს კიდე გაჩერებული იდგა და მერე მტკიცე ნაბიჯით მოხუცის ოთახში შევიდა და ფათური დაიწყო.

— რას ფათურობ, შვილო? ჰკითხა მოხუცმა.

— მალე გაიგებ,—უპასუხა მოკლედ ლათომ და დიდს გაშლილს ბოხჩაში რაღაცეების ჩაწყობა დაიწყო. მერე ტახტ ქვეშიდგან ორი ხელი ლოგინი გამოათრია, ორ საბანში გაახვია და ბოხჩას გვერდით მიუდო. თითონ სანთელს ხელი მოავლო და ნიკოს ბიბლიოთეკაში გავიდა. იქ ერთს დიდ ალბომში მალე მიაგნო ნიკოს სურათს. ხელების კანკალით გამოაძრო, სანთელთან ახლო მიიტანა და ყურება დაუწყო.

— ჩემო ნიკო!.. წარმოთქვა ლათომ ქვითინით: ნეტავ ერთს წამს მაინც შეგეძლოს, რომ სიკვდილს მივცე თავი!.. რატომ არ გეცოდები?!.

ცრემლები არჩობდნენ ლათოს, ვეღარა ლაპარაკობდა. ჩუმის ტირილით ნიკოს სურათს ხან ჰკოცნიდა, ხან გულში იკრავდა. ლათომ უკანასკნელად მაგრად ჩაიკრა გულში ნიკოს სურათი, მერე ათრთოლებულ ტუჩებთან მიიტანა და იმის გულიდგან გულ საწყალი კვნესა ამოვარდა.

—ნეტავ გავიგონო, რომ შენ მკვდარი ხარ!.. ჩემო ნიკო! შენს სიკვდილს ვნატრობ!.. წავალ... მოგშორდები, არ გიხარიან?..

ლათომ კარებისკენ ორი ნაბიჯი გადასდგა. და ისევ შეჩერდა. მერე საცოდავად დაიღრიჯა, „დაგივიწყებ!.. დაგივიწყებ!..“ წარმოთქვა იმან, გამწარებულმა ნიკოს სურათი კედელს მიანარცხა და გავარდა გარეთ.

— მოხუცო! მიმართა ლათომ პირველად ამ სახელით: ადექი, წავიდეთ, აქ ჩვენი ალაგი არ არის! ჩვენს სახლში წავიდეთ და იქ ერთად მოვკვდეთ!..

თუმცა იმისი ხმა ავადმყოფისა და დატანჯულის ხმა იყო, მაგრამ თან ისეთი მტკიცე კილო ჰქონდა იმის ნათქვამს, რომ მოხუცი ხმის-ამოუღებლივ კანკალით წამოდგა და წასაყვანად ლათოს ხელები გაუწოდა.

— ეს პატარა ბოღჩა შენ დაიჭირე, სხვებს მე მოვერევი! უთხრა თითქო ბძანებით ლათომ.

და მუხლებამდის თოვლში ორი გატანჯული ადამიანი გაციებულს სახლში დასაბინავებლად გაეჩქარა.

XX

ვის არ გაეგონება მეტეხის ციხის სახელი? ვის არ აჰკანკალებია გული იმის გვერდით გავლის დროს? შიშით თუ კრძალვით, ეს სულ ერთია! ერთმა მწერალმა მოგვაგონა, რომ ეს კედლები საქართველოს მტრისგან იცავდა, რომ იმის სიმაღლიდგან ალტაცებით გაისმოდა საქართველოს თავისუფლების ხმა, მაგრამ რაც იყო—იყო, ყოფილი სიზმრად გადაგვექცევია. დღეს მეტეხის ციხე საპატიმროა და იქ იმყოფება პატიმრად ჩვენი სოსეცა.

სოსე იჯდა ციხის იმ მხარეს, რომელიც საზარელის სიმაღლიდგან მტკვარს დასცქერის. ვინ იცის, რამდენს პატიმარს უნატრია ამ უფსკრულში გადავარდნა და უეცარი სიკვდილი ციხეში ჯდომისა და შიგ ჩალპობის მაგიერ. აი სწორედ ამ მხარეს იჯდა სოსე და რკინის ბადიან სარკმლიდგან დაღვრემილი დასცქეროდა მტკვრის მორევს.

ცხრა თვეის ტუსაღობის შემდეგ დღეს ეძლეოდა თავისუფლება და, თუმცა გულის ძგერით, მაგრამ სიხარულით არ ელოდდა ის ამ წამს. რადა? არ ვიცი. მხოლოდ ბოლოს დროს, ფიქრს შემდეგ, ხშირად ამოოხვრით იტყოდა ხოლმე «სულ ერთიაო» და ღიმილით მიუახლოვდებოდა იმასთან დაპატიმრებულს ერთს ახალგაზდა ნასწავლ კაცს. ისიც მეგობრულად გაუცინებდა, ხელს მოხვევდა და ორივენი ცალკე სალაპარაკოთ წავიდოდნენ ხოლმე.

დილის შვიდი საათი იყო. სოსეს პატარა ბოღჩით თავის ბარგი მზად შეკრული სტოლზე ედო. მეტეხის გაღმა სიმღერითა და ნავარდობით მეთევზეები წყლის პირას ჩამოვიდნენ და თოკებით დაბმულსა და წყალში ჩაგდებულს გოდრებს წევა დაუწყეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კებმაც იგრძნონ სიბილწე თავიანთის მოქმედებისა და თავი გაანებონ სხვების ცარცვა-გლეჯასა-თქო, მაგრამ იმედმა გვიმტყუნა: დადგა მარტი, დაიჭირა მშვენიერი ამინდები, გაშრა დედამიწა, ბუნება გაკეკლუცდა და ზამთრისაგან დაჩაგრული ხალხი გამხიარულდა, მაგრამ, საუბედუროდ, კარგს ამინდებს ავაზაკობაც თან მოჰყვა. განსხვავება შარშანდელსა და წრევანდელს ავაზაკობაში მხოლოდ ისაა, რომ შარშან ავაზაკები არავის ხელს არ ახლებდნენ სასიკვდილოდ და არც ასე ზედი ზედ უხტებოდნენ სახლში ხალხს, როგორც წელს. შარშან, მაგალითად, მთელის წლის განმავლობაში ოთხი შესანიშნავი მოხდა, წელს-კი, სულ სამის დღის განმავლობაში, ორი. შვიდ მარტს ღამე მიუხტნენ გლეხს ტყემალაძეს, უმოწყალოდ დასჭრეს საწყალი გლეხი და თუ რამ ებადა, წაიღეს; ათს ამა თვეს სოფელ ღორეშაში თორმეტამდე შეიარაღებული ავაზაკი დაეცა თავზე აზ. ა. ორჯონიკიძეს, ავაზაკებმა შეამტვრიეს კარები, მძიმედ დასჭრეს ცოლქმარი და შვიდასის მანეთის ღირებული ნივთები წაიღეს. ამ ამბავმა რამდენსამე დღის შემდეგ მამასახლისის მოხსენებით მიაღწია სამაზრო პოლიციამდის და თოთხმეტს ამ თვეს ამაშუკეთის საზოგადოებაში მობრძანდა შორაპნის მაზრის უფროსი ბ-ნი ჯაყელი. მაზრის უფროსმა დაიბარა საზოგადოება სოფლის კანცელარიაში და დარიგება მისცა ავაზაკობის მოსპობის შესახებ. ბოლოს ბატონმა მაზრის უფროსმა ამოარჩევინა თითოეულ სოფელს ხუთ-ხუთი, ექვს-ექვსი კეთილსაიმედო კაცი ხევისთავებად, მიაღებინა ამ ახლად ამორჩეულთ ფიცი და უბძანა: „აღმოაჩინეთ ავაზაკები და წარმომიდგინეთ. ეცადეთ შემდეგში აღარ მოხდეს ამ ნაირი სამარცხვინო ავაზაკობა!" ამაზედ ხევისთავებმა მოახსენეს, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან ავაზაკების გაცემა, რადგან შესაძლებელია თქვენ ისევ გამოუშვათ და ჩვენის მტრობის მეტს აღარას გააკეთებენ ისინიო. ამ მოხსენებაზე მაზრის უფროსმა ბრძანა: „თქვენ ფიცი გაქვთ მიღებული და ამიტომ უნდა ეცადოთ ავი კარგისაგან გაარჩიოთ, ხოლო მე თქვენგან წარმოდგენილ კაცებს უკან აღარ დავაბრუნებო".

ჩვენდა სასიამოვნოდ, ხევისთავებად ყოვლად კეთილი, უანგარო და სოფლის კეთილდღეობისათვის თავ გამოდებული კაცები აირჩიეს. ამიტომ თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ჩვენს ამაშუკეთის საზოგადოებაში ქურდობა-ავაზაკობას ნიადაგი აღარ ექმნება, თუ ერთმა გარემოებამ არ შეუშალა ხელი ჩვენს ხევისთავებს. ეს გარემოებაც ის გახლავთ, რომ ჯერჯერობით ხევისთავები მხოლოდ ამაშუკეთის საზოგადოებაში ამოარჩიეს და უმეტესი ნაწილი ავაზაკებისა-კი, დარწმუნებით შეიძლება ვსთქვათ, სხვა სამამასახლისოებიდგან გვეწვევიან ხოლმე. ამიტომ ზოგიერთ აზ. ამაშუკლებს ამის შესახებ მოელაპარაკნათ პოლიციის ბოქაულთან, რომელსაც აღეთქვა, მოკლე დროს ყველა სამამასახლისოებში დავნიშნავ ხევისთავებსაო. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ ჩვენს ხევისთავებს ერთი ორად შეუსუბუქდებათ თავიანთ მძიმე მოვალეობის შესრულება და ამიტომ ვისურვებთ, ბატონ პოლიციის ბოქაულის აღთქმა მალე სისრულეში მოყვანილიყოს.

ღორეშის სამრევლო სკოლის მასწავლებელი

სიმონ ქუმსურიძე

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

რუსეთში სწერს ერთი ვასილევსკიც, რედაქტორი სამასხარო ჟურნალის „Стрекоза"-სი, ესრედ წოდებული „Буква". აი ამის ფელეტონია ეხლა დაბეჭდილი „Новости"-ს უკანასკნელს ნომერში, სადაც სხვათა შორის ტფილისსა და ტფილისის დევ-გმირთაც შეეხება. ეს დევ გმირები, რაღა თქმა უნდა, „ორი თავადია, ორი ბებუთოვი", როგორც მეფელეტონე ამბობს, და იმათი საასპარეზო მოედანი ტფილისის საქალაქო ნდობის საზოგადოება. აი რას ამბობს „Буква":

ტფილისის საქალაქო ნდობის საზოგადოების ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარე, თ. კ. ა. ბებუთოვი (საზოგადოებიდგან უკვე გამორიცხული), ბეჭდვით აცხადებს ტფილისის გაზეთში, რომ მე არც მეფისტოფელად ყოფნა მინდა და არც მეორე ტიერადაო. ტფილისში ძალიან სიტყვა მოქარგულადა სწერენ და ევროპიულის „შიკით". მეფისტოფელი და ტიერი მხოლოდ შესავალშია დასახელებული, შემდეგ იმედია თ. კ. ბებუთოვი სხოლიოებს მოიყვანს შექსპირისა, ბოკლისა, სპენსერისა და გარტმანის თხზულებებიდგან.

შესავალს შემდეგ დაბეჭდილია მეორე წერილი, სადაც ციფრებია მოყვანილი და საბუთებიო.

ამ ციფრებ-საბუთებიდგან აშკარადა სჩანს, რომ ტფილისის საქალაქო ნდობის საზოგადოების საქმეები ცუდად სწარმოებს, მოჯირისუფლენი უყურადღებოდ და გულ-ცივად ეკიდებიან თავისს თანამდებობას, უძრავს ქონებაზე გაცემული სესხი ხშირად საქმის გაუსინჯავად არის ნაწარმოები და „საზოგადოება" უკვე 60,000 მანეთამდე ზარალში ჩამჯდარა. ამ საბუთების გამოისობით თ. კ. ბებუთოვი იხსენიებს მეფისტოფელსა და ტიერს, განგაშსა სცემს და საყოველთაოდ აცხად-ამჟღავნებს, რომ, ჩემის აზრით, ტფილისის საქალაქო ნდობის საზოგადოება მახეშია შემწყვდეული და იმისი დაღუპვა დღე-დღეზედ აუცილებელიაო. ეს წინასწარმეტყველება-კი ცოტა არ იყოს მეტად გაზვიადებულია. ერთის მხრით, ყველასათვის აშკარაა, რომ 60,000 მან. ზარალი საკრედიტო დაწესებულებას ძირს ვერ გამოუთხრის და ვერ შეატორტმანებს. მართალია, პეტერბურგის ნდობის საზოგადოება ტფილისისას არ შეედრება, მაგრამ მაინც ამ საზოგადოებამ მილიონები იზარალა და ყურიც არ გაუპარტყუნებია. დიდის საქმისათვის 60,000 მან. მაგდენი არაფერი ფულია. მეორეს მხრით, თ. კ. ბებუთოვის ღრმადრამატიულს წინასწარმეტყველებაში ის გარემოება გვაკმაყოფილებს, რომ იგი ამბობს: ჩემის აზრით, ტფილისის საქალაქო ნდობის საზოგადოების გადარჩენა კიდევ შესაძლებელია, თუ მმართველობის თავმჯდომარედ ამორჩეული იქნება ვიღაც ბ ნი ყაითმაზოვი, აწინდელის თავმჯდომარეს თ. ნაპოლეონ ამატუნის მაგიერადაო... როგორც ჰხედავთ, საქმე მეორე ტიერობაზედ-კი არ არის მიმდგარი, არამედ იმაზედ, რომ კიდევ ერთხელ იქმნას ძირს დამხობილი კიდევ ერთი ნაპოლეონი.

## უცხოეთი

საფრანგეთი. ოპორტუნისტებსა და ყოველ გვარ კონსერვატორებსაც ძალიან უნდოდათ ცოტად თუ ბევრად შეეზღუდათ მწერლობა და ამიტომ შედგენილ იქმნა მარსელ ბარტის მიერ შესაფერი კანონ-პროექტი. ეს კანონ-პროექტი მწერლობის თავ-გასულობის მოსასპობად სენატმა შეიწყნარა კიდეც. იქ სხვათა შორის ძველმა რესპუბლიკელმა ლაკურმა მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა მარტის კანონ-პროექტის სასარგებლოდ. მან სთქვა, რომ თავისუფლება ხანდახან, ესე იგი მაშინ, როცა თავ-გასულობა დაუსჯელად რჩება, თავისუფლება-კი აღარ არის, არამედ ყოვლად საძაგელი და საშინელი მტარვალობააო. კანონ-პროექტი მარსელ მარტისა შემდეგ გადაეცა დეპუტატთა პალატას და აქ, რასაკვირველია, დიდ-ძალი მოწინააღმდეგენი დაუხვდა ამ პროექტს მწერლობის თავისუფლების შეზღუდვისას. მწერლობაშიაც ბევრმა აღიმაღლა ხმა პროექტის წინააღმდეგ. გაზ. „Matin"-ში სენატორი და აკადემიკოსი ჟიულ-სიმონი, ეს დიდი მომხრე თავისუფლებისა ყველგან და ყველაფერში, სწერს: «დიახ, საჭიროა დასჯილ იქმნას ხოლმე ბოროტ-მოქმედება მწერლობისა. დიახ, მართალია, რომ სახელმწიფო სასამართლოს რომ გადაეცეს მწერლობის შემწეობით ჩადენილი ბოროტ-მოქმედება, უფრო ხშირად და უფრო სასტიკად მოეპყრობიან ბოროტ-მომქმედთ, ვიდრე სასამართლო ნაფიც მსაჯულთა. დიახ, თავისუფლებას ეკლებიც ახხია, მაგრამ იგი მაინც თავისუფლებაა... და არავითარი თავისუფლება ისე ძვირფასი არ არის ჩვენთვის, როგორც თავისუფლება მწერლობისა, იმიტომ-რომ მწერლობაა დარაჯი მთელის ქვეყნის თავისუფლებისაცა. თუ მწერლობა ხანდახან ბოროტად მოიხმარს ხოლმე თავის ძალასა და ღონეს, ამის წამალი ისევ სკოლაა, განათლება და თვით თავისუფლება. ზნეობით ამაღლება საზოგადოებისა დაეტყობა მწერლობის წარმომადგენელთაც და ნაფიც-მსაჯულთა განაჩენებსაცაო".

მაგრამ უფრო საყურადღებოა პროექტის საწინააღმდეგოდ შედგენილი მოხსენება პელტანისა. მოხსენებაში სწერია: პროექტი გვეუბნება, რომ ზოგიერთი საქმე მწერლობისა უნდა გადაეცეს განსახილველად სახელმწიფო სასამართლოს და არა სასამართლოს ნაფიც მსაჯულებისასაო. ჩვენ ამაზე ვამბობთ გადაწყვეტით არასა. ვამბობთ არასა იმიტომ-კი არა, რომ გულგრილად ვეკიდებოდეთ იმ მიზეზებსაც, რომელმაც გამოიწვია პროექტის დაწერა. მაგრამ განა ნამდვილად უშველის საქმეს ის ღონისძიება, რომელსაც კანონ-პროექტი წამლადა ჰსახავს? განა ბოროტმოქმედებას რომ ემუქრება, თან პატივის-ცემითაც ეპყრობა თავისუფლებას? ჩვენ არა გვგონია, რომ ან ერთი იყოს მართალი, ან მეორე. უპირველეს ყოვლისა ვერ დავმალავთ, რა სული უდის იმ ცვლილებას, რის შემოღებასაც გთხოვენ ჩვენს კანონებში. კერძო კამათობამ და თითოეულის პირში შებმა და შეკაპუნებამ-კი არა, 75 წლის ბრძოლამ პროგრესსა და რეაქციას შორის გაჰხადა ისტორია მწერლობისა ისტორია თვით თავისუფლებისა. ნაფიც მსაჯულთა სამართალი ჩნდება ყოველთვის მაშინ, როცა წინ გადიდგმის ნაბიჯი, და ჰქრება მაშინ, როცა უკან სდგამენ ნაბიჯს. იგი სამართალი შემოიღო ლიბერალმა დასმა ლეგიტიმისტებისამ და მოსპო პირველშავე ტალღამ რეაქციისამ. მერე კვლავ გაჩნდა იულისის რევოლიუციის შემდეგ და დაიღუპა 2 დეკემბრის უწესოების გამო. რესპუბლიკამ კვლავ აღადგინა იგი სამართალი. განა იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საზოგადოების გონებაში წაიშალოს და ამოიხოცოს ის, რაც ისე ღრმად ჩაებეჭდა და ჩაეჭდია ამ მთელის ჩვენის საუკუნის განმავლობაში? აქ ლაპარაკია ერთ იმ სიმაგრისა და ციხე-ბურჯის გამო, რომლისათვისაც ყველაზე მედგრად იბრძოდა დემოკრატია, იმ ციხე-ბურჯისა გამო, რომელსაც დაიპყრობდნენ ხოლმე, მერე ისევ ჰკარგავდნენ და ხელ-ახლად კიდევ დაიბრუნებდნენ ხოლმე თავისუფლებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში. რესპუბლიკელთა დასს თავი მოსწონდა, რომ ხელახლად დაიპყარი ის სიმაგრე, ის ციხე ბურჯიო. რაღა უნდა ვიფიქროთ ამ დასის შესახებ, რომ ეხლა იმან უარი სთქვას იმისი"...

---

— რა კარგა სთქვა იმ დალოცვილმა, გაიფიქრა სოსემ: ჩვენც იმ თევზების დღე გვადგიაო. ეჰ რომ მართალია! გოდორში მომწყვდეული წყალში ჩაუგდიათ და იცოცხლეთო, ეუბნებიან! და ყოველს დილას ამ ნაირის სიცილითა და ხარხარით ტყვეობით ღონე-გამოულეულების ამოსაკრეფად ჩამოდიანო.

მეტეხის ეზოში დალაბანდი დაჰკრეს, მის ხმას ციხის კედლებმაც ბანი მისცეს და ყოველმა ტუსაღმა იმის ხმაზე ენა გაკმინდა. ეს დალაბანდის ხმა იმის ნიშანი იყო, რომ ყველა ტუსაღი თავის გალიაში უნდა მიმალულიყო, რადგან ყოველ დილაზე სთვლიდნენ. სოსეს ოთახში დღეს ჩვეულებისამებრ არ შეიხედეს. მხოლოდ სარკმლიდგან მეკარემ, იმის ნიშნად, რომ სოსე გაანთავისუფლეს, ტკბილად გაუღიმა.

სოსეს გული აუკანკალდა. პაჯარა ვიდევ მოიცადა, მერე მოაველო თავის მოხჩას ხელი და თავის ნასწავლ მეგობრის გამოსათხოვებლად მეორე სართულში ასვლა დააპირა. მაგრამ როდესაც ნახევარ კიბეს ასცილდა, დარაჯმა ქვევიდგან ჩოხაში ხელი სტაცა. „სად მიდიხარო?" დაუყვირა და პასუხის მოუცდელად გაჯავრებულმა ჩოხას გამოსწია. სოსეს თავმა გადასძლია. გულ-აღმა გადმოსავარდნად წამოვიდა, მაგრამ ყელში სისხლმოსული ჰაერში გადმოტრიალდა, საშინელის ძალით დარაჯს მუშტი გულში ჩაჰკრა და წაქცეულს ზედ დაეცა. დარაჯმა ყვირილი დაიწყო. ყვირილზე სხვა დარაჯნი მოცვარდნენ და შეუბრალებლად სოსეს წაღის ქუსლებით ცემა დაუწყეს. ხმაურობაზე უფროსიც მოვარდა და, რა დაინახა, რომ წაქცეულს დარაჯს სოსე გულზე აწვა, ძალიან განრისხდა და უბრძანა, საბნელეთში ჩააგდეთო. სოსე გაკავებული ბნელაში ჩასაგდებად წაიყვანეს.

მეტეხის ეკკლესიის ძირში, იმ წმინდა ტაძრის ახლო, სადაც დიდი თამარი ცხარე ცრემლით საქართველოს ღმერთს ავედრებდა, კლდეში, ერთი დიდი და ღრმა გამოქვაბულია. იმის კედლები, მზის უნახაობით მუდმივ სველი, ერთს ალაგას გამოწეულს ქვაზე იწურება.

— აქ სად მიგყევართ? ჰკითხა სოსემ დარაჯებს: თუ სასიკვდილოდ მიგყევართ, მითხარით მაინცა!

— ნუ გეშინიან! უთხრა მეკარემ: ბძანებას ვერ გადუდგები, მეც შენსავით მომეპყრობიან. შედი, გული გაიმაგრე! მხოლოდ, როგორც გითხარი, ფრთხილად იყავი არ დაგეძინოს! ნურას იფიქრებ, ისე გეუბნები.

ამ სიტყვებით სოსეს კარები მიუხურეს და კარების ბრახუნმა, რომელსაც კედლებმაც ხმა მისცეს, სოსე გააჟრჟოლა. ხმა მისწყდა და სოსეს თავის თავი საფლავში ეგონა დამარხული.

— ფრთხილად იყავითო! სთქვა სოსემ და თავის ხმისა თითონვე შეეშინდა. ამ მდუმარებაში სოსეს თავის სუნთქვაც-კი აშინებდა. ყოველს იმ ხმაზე, რომელიც ვანხდებოდა ხოლმე, როცა ერთს კუთხეს მოგუბებულ წყალში წვეთი ეცემოდა, სოსე შიშით შეხედებოდა ხოლმე. „რა ალაგია?" ჰფიქრობდა სოსე: „ეგებ წყალი უნდა შემოუშვან და ისე დამარჩონ!" მაგრამ ამ ნაირის სიკვდილისა სოსეს არ ეშინოდა. ამ მდუმარებასა და სიბნელეში მეკარისგან საიდუმლოდ ნათქვამი სიტყვები აშინებდა: „ფრთხილად იყავით". რას გაფრთხილებოდა, რომ ვერასა ჰხედავდა საშიშს.

ცალკე აღელვებამ, ცალკე ამ წვეთის დენამ სოსეს წყურვილი აღუძრა. მაგრამ დიდხანს ვერა ჰბედავდა ფეხის გადადგმას. ბოლოს ნელა, თითქოს თავის ფეხის ხმისა ეშინიანო, წყლისკენ წაიწია. „ერთი, ორი", სთვლიდა სოსე აღელვებული თავის ნაბიჯებს და წინ გაწვდილს ხელებს ჰაერში აფათურებდა. ზევით აქნეული ხელი მან თალს მოარტყა და გაჩერდა: მის წინ თითქო რაღაცამ გაიფაჩუნა და ისევ გაჩუმდა. სოსემ თითქო რიღასიც გასაფრთხობად ფეხი ძირს დაჰკრა. ფეხის ხმა შესწყდა და რაღაც სრიალი მოესმა. «გველია!» წამოიძახა სოსემ შიშით და უკან დაიწია. რამდენსამე წამს აღარა ისმოდა-რა. „მომეჩვენა", იფიქრა სოსემ და ის ის იყო წინ ფეხის წადგმას აპირებდა, რომ თავ-ზევით იგივე სრიალი მოესმა. სოსეს ჟრუანტელმა დაუარა ტანში, თმები შიშით აებურძგა და კანკალით ხელები მაღლა აიქნია.

— ვაიმე, დედა! დაიღრიალა მან საზარლად. აქნეულის ხელით გველი ზიზღითა და შიშით ძირს დაანარცხა, თავ განწირულებით კარებს ეცა, გაამტვრია და გულ-წასული ზედ დაეცა.

სოსე მალე მოვიდა გონს და წამოდგომა დააპირა. მაგრამ რა დაინახა, რომ დარაჯებს ხიშტები მოეღერებინათ, სოსემ მოსვენებით თვალი დახუჭა.

ერთის საათის შემდეგ განთავისუფლებული სოსე მეტეხის დაღმართზე ჩამოდიოდა.

„მოვდივარ შენთან, ჩემო ნიკო", ჰფიქრობდა გზაში.

პოლიკო ყიფიანი

(დასასრული იქნება)

## წვრილი ამბები

იტალიის ქალაქს ვიცენცაში ამას წინად ერთს მშვენიერს თექვსმეტის წლის ქალს ასამართლებდნენ. ამ ქალს შეჰყვარებია ერთი ახალგაზდა თექვსმეტის წლისავე გიმნაზიელი, რომელიც, საუბედუროდ, ერთ უკანასკნელ კლასთაგანში მეორე წლიწადს დარჩენილა. მშობლებს ქალიშვილისთვის ნება არ დაერთოთ, მაგისთანა ზარმაც უმაწვილს ვერ მივათხოვებთო. ამიტომ შეყვარებულებს გადაეწყვიტათ, თავი მოვიკლათო, წასულიყვნენ ბაღში და იქ ქალს ჯერ უმაწვილ კაცისთვის ესროლნა რევოლვერი და მერე თავისთვის, მაგრამ შემთხვევით არც ერთს არ მოხვედროდა. თუმცა რომ ამ ამბის შემდეგ ორივენი დაწყნარდნენ, კიდეც შეუღლდნენ და უვნებლად და კარგად სცხოვრობდნენ, მაგრამ ბრალმდებელმა ახალგაზდა ქალს მაინც ბრალი დასდო რომ შენის თავისა და სხვის მოკვლა გდომებიაო. მსაჯულებმა ახლად შეუღლებული ცოლ-ქმარი გაამართლეს.

— უელსის პრინცი თავის ამხანაგითურთ მოდიოდა თურმე კლუბიდგან სახლში და ქუჩაზე დაინახა, რომ მეხილეს ურმით შემწვარი კარტოფილი მოჰქონდა. პრინცსა და იმის ამხანაგს ძალიან მოუნდათ კარტოფილის გასინჯვა, იყიდეს სამის კაპიკის კარტოფილი და იქვე შეჭამეს. ამასობაში მეხილემ შეიტყო, ვინც იყვნენ იმისი მუშტრები, მეორე დღეს პრინცის სასახლეს პირდაპირ დააყენა ურემი და ზედ ფიცარი გააკრა შემდეგის წარწერით: „მე ვარ უელსის პრინცის მეხილეო“. ამ ამბის გამო სასახლის წინ დიდ-ძალი ხალხი შეიკრიბა და განცვიფრებით შესჩერებოდა მეხილეს და იმის კარტოფილითა და მწვანილით სავსე ურემს. ეს რომ პრინცმა შეიტყო, მაშინვე თავისი მოსამსახურე გამოგზავნა თურმე, რომ გააგდო ეს თავ-გასული მეხილე, მაგრამ მოსამსახურე ვერას გაჰხდა და იძულებული იყო სირცხვილეული დაბრუნებულიყო უკანვე. ბოლოს მოვიდა თვით პრინცის მდივანიც და რის ვაი ვაგლახითა და ფულის შეწყობით დაიყოლია მეხილე და აძრობინა პრინცის შეურაცხმყოფელი ფიცარი.

— კარგა ხანია, რაც ნიუ-იორკში ერთი ახირებული ახალგაზდა უმაწვილი დადიოდა და ქუჩებში ქალებს დასდევდა საკოცნელად. რადგანაც ეს ვაჟბატონი სანადიროდ მხოლოდ საღამ-საღამოს გამოდიოდა, ამიტომ ვერავინ ვერ იცნობდა და პოლიციას დიდხანს ემალებოდა. მაგრამ ყოველთვის კოკა წყალს ვერ მოიტანსო, ნათქვამია. ამას წინად ერთს დედაკაცს დასდევნებია, ჩავარდნია ხელში და ვერა ღონის-ძიებით ვეღარ დაუხწევია თავი. გაგულისებულს დედაკაცს ჟანდარმის წინაშე წარუდგენია შეცხვენილი და თავს ლაფ-დასხმული უმაწვილი, ლამაზის სახის იტალიელი. სასამართლოში დიდის მჭევრმეტყველებით ამტკიცებდა თურმე ეს ახირებული იტალიელი, რომ ლამაზის ქალის კოცნა დანაშაულად არ უნდა ჩაითვალოსო, მაგრამ მაინც დაპატიმრება გადაუწყვიტეს.

— ნიუ-იორკშივე ერთ საზოგადოების კრებაზე ფონოგრაფს გლადსტონის ორი სიტყვა წარმოუთქვამს, ერთი თავ-დაჭერით და ზომიერად ცხოვრების შესახებ და ერთიც იმის გამო, რომ ყოველი კაცი თითონ უნდა ზრუნავდეს თავისთვის, მუდამ სხვას არ უნდა შესცქეროდეს ხელშიო. საზოგადოებას დიდის ტაშის კვრით დაუჯილდოვებია ფონოგრაფი ამ სიტყვების კარგად წარმოთქმისათვის.

— განუაში უნდათ გამართონ გამოფენა და ამით იდღესასწაულონ ამერიკის აღმოჩენიდგან ოთხასის წლის შესრულების დღეობა. ამ გამოფენაზე თავ-მოყრილი იქნება ყველა ის სანასოსნო იარაღი, რაც-კი კოლუმბს აქეთ გამოუგონიათ.

## დეპეშები

27 მარტი

პეტერბურგი. მეთერთმეტე კორპუსის არტილერიის უფროსი ანოსოვი დანიშნულ იქმნა კიევის ციხის კომენდანტად.

«Новости»-ბი იუწყებიან, რომ სეკრეტარი სამეცნიერო აკადემიისა ვესელოვსკი თავს ანებებს ამ თანამდებობას ავად-მყოფობის გამო და მის ადგილს დაიჭერსო აკადემიკოსი შტრაუხი.

დირექტორი მოსკოვის ობსერვატორიისა ბრედიხინი ამორჩეულ იქმნა აკადემიკოსად სტრუვეს მაგიერ და მიიღებს თანამდებობას პულკოვის ობსერვატორიაში.

რომი. გუშინ მოვიდა რომში ტირარი. კრისპისა და ტირარს ძალიან ტკბილი ლაპარაკი ჰქონდათ. მესაუბრეებს უხაროდათ, რომ იტალიასა და საფრანგეთს ერთმანეთში თანხმობა ჩამოუვარდათ.

პეტერბურგის ბირჟა, 23 მარტი.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულნი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | „ | 7 34 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | 147¼ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 08 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . . | 230¾ | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | 217 | — „ | — „ |
| —მესამისა . . . | 215¼ | — „ | 217¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყჟ (1890) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7398.

ძველი ინდიქტიონი მე-14

ახალი ქორონიკონი—უპბ=482 წელიწადია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მე-46 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1890 წლის ზედნადებია—17.

მარტი 31 დღით არის

28 დღე ოთხშაბათი. ქართველ. ღირსისა მამისა ილარიონ ახლისა და წმ. სტეფანე საკვირველ-მოქმედისა. კათოლ. წმ. სიქსტა, ვიტალისა და გელიანასი. სომეხ. 45 დღე დიდ-მარხვისა. მზე ამოდის 5—30, ჩადის 6—35. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12. მთვარე 20 დღისაა.

29 დღე ხუთშაბათი. ქართველ. წმ. სერობა, დიდი ხუთშაბათი. ღირსისა მამისა მარკოზ, არათუსელ ეპისკოპოზისა. კათოლ. დიდი ხუთშაბათი. წმ. ევსტაზია და იადვიგასი. სომეხ. დიდი ხუთშაბათი. სერობა. მზე ამოდის 5—28, ჩადის 6—36. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1, მთვარე 21 დღისაა.

30 დღე პარასკევი. ქართველ. ვნება, ჯვარცმა და დაფლვა იესო ქრისტესი. ღირსისა მამისა იოანე კლემაქსი აღმწერელისა. კათოლ. ვნება და ჯვარცმა ქრისტესი. სომეხ. ვნება და ჯვარცმა ქრისტესი. უკანასკნელი მეფე გიორგის მეუღლე მარიამი გარდაიცვალა, 1851 წ. მოსკოვს, გვამი მოასვენეს მცხეთის ტაძარში. მზე ამოდის 5—26, ჩადის 6—37. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1. მთვარე 22 დღისაა.

31 დღე შაბათი. წინა დღე აღდგომისა. იპატი ეპისკოპოზისა. წმ. იოსებისა. კათოლ. წინა დღე აღდგომისა. ბალბინა, კორნელია და ველიამინასი. სომეხ. წინა დღე აღდგომისა (ნახატონაქი და ნავაკატიკი). წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წესდების დამტკიცება 1879 წ. მზე ამოდის 5—25, ჩადის 6—38. ჭეშმარიტი შუადღე 12—1. მთვარე 23 დღისაა.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსსისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

## განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები-

| | მან. კაპ. |
|---|---|
| ძმა ძმის მტერი, მოთხრობა წითლიძისა . . . . . | „ 10 კ. |
| უბის წიგნი, ვალ. გუნიასი 1890 წ. . . . . . . | „ 40 |
| თვით მასწავლებელი ბიაშვილისა . . . . . | „ 45 |
| პირუტყვების ამბები, საყმაწვილო წიგნი სურათებით . . . . . . . | „ 25 |
| წმინდა ნინო. . . . . . | „ 2 |
| ტაძრად მიყვანება ღვთისმშობლისა . . . . . | „ 2 |
| ესთერი . . . . . . . . | „ 5 |
| დარიგება სალმრთო სჯულის სწავლებაზედ, დ. ღამბაშიძისა . . . . . | „ 30 |
| ბექანიანი. . . . . . . | „ 15 |
| ძეგლის-დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი. იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . . . . . . | „ 25 |
| განკიცხული ა. მოჩხუბარიძისა . . . . . . . | „ 60 |

პატივისცემით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ ოლგის ქუჩაზე, ფოსტ... შენობის ახლო ვმართავ დიდს სეზონის გასართობელს ადგილსა. სახელ... წოდებით:

ზაფხულ-ზამთრის ბაღი ელბრუსი

(ЛѢТНЕ-ЗИМНІЙ САДЪ ЭЛЬБРУСЪ)

ამ ბაღში აღდგომის მეორე დღიდგან დაიწყება მართვა კონცერტებისა, ... ირნობისა, საყმაწვილო დღესასწაულებისა, სხვა-და-სხვა გასართობელ... და სხვანი.

საჭიროა მოსამსახურე კაცნი. ვისაც უნდა მოსამსახურედ დადგომა, პასპორტ... უნდა მოიტანოს 28 მარტამდის.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

**დედა ენა და ბუნების კარი**

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. **ფასი ექვსი შაური.**

ვინც ერთბაშად **ნაღდს ფულზე** იყიდის ოც-და-ათზე მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა **ხუთ შაურად.**

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება **ორი შაური.** ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას“ წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ **რვა კაპეიკი.**

„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი **თხუთმეტი შაური.**

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა **თოთხმეტ შაურად,** ვინც ოცსა—**ცამეტ შაურად** და ვინც ოც-და-ათს—**სამ აბაზად** ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ **სამი შაური.**

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, **გასაგზავნი ხარჯი** თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**ივერია**

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თვეით . . . | 10 მ. — კ. | 6 | თვეით . . . | 6 მ. — კ. |
| 11 | „ . . . | 9 „ 50 „ | 5 | „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 | „ . . . | 8 „ 75 „ | 4 | „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 | „ . . . | 8 „ — „ | 3 | „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 | „ . . . | 7 „ 25 „ | 2 | „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 | „ . . . | 6 „ 50 „ | 1 | „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვეის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვეის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვეის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

Доз ценз. Тифлисъ, 27-го Мартъ 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ Мелик д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე